გელათის სამონასტრო კომპლექსის მართვის გეგმის განახლების პროექტი

კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის

გიორგი ბურჯანაძის მიერ ჩატარებელი

საველე/კამერალური სამუშაოების

ანგარიში

2023

გელათის სამონასტრო კომპლექსის მართვის გეგმის განახლების ფარგლებში მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, ააიპ „გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის ფონდსა“ და ჩემს შორის გაფორმდა ხელშეკრულება #01/10, რომლის მიხედვითაც უნდა განმეხორციელებინა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საიტის გელათის სამონასტრო კომპლექსის ბუფერულ ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ობიექტებზე ინფორმაციის განახლება, მათი ფოტოფიქსაცია და მოპოვებული მასალის მონაცემთა ბაზაში განთავსება.

ველზე გასვლამდე, კამერალური სამუშაოების ფარგლებში მოვახდინე 2015 წელს შემუშავებული მართვის გეგმის დოკუმენტაციისა და რუკების ანალიზი, ასევე კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში საკვლევი არეალის ფარგლებში არსებული მონაცემების ანალიზი. მოძიებულ იქნა ბიბლიოგრაფია კონკრეტულ ობიექტებზე, გავარჩიე საარქივო მასალა, კონკრეტულად ძველი სააღრიცხვო ბარათები, რეაბილიტაციის პროექტებში არსებული თანდართული კვლევები და ა.შ. რის შემდეგადაც აღნიშნული თეორიული მასალის ერთმანეთთან შედარებით გაიწერა საველე გასვლების მარშრუტები და გეგმა-გრაფიკი. მართვის გეგმის მიხედვით აღნიშნულ არეალში ფიქსირდებოდა 64 ძეგლი/ობიექტი, ხოლო მონაცემთა ბაზის მიხედვით 63 ძეგლი/ობიექტი.





მართვის გეგმის მიხედვით

მონაცემთა ბაზის მიხედვით

2015 წლის მართვის გეგმის პროექტის ფარგლებში შედგენილი კულტურული მემკვიდრეობის რუკის გისში (გეოინფორმაციული სისტემა) რეფერენსირების შემდეგ ავციფრე აღიშნულ რუკაზე დატანილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და მონაცემთა ბაზაში (memkvidreoba.gov.ge) არსებული ობიექტებთან ერთად აღნიშნული წერტილები გადავიტანე გლობალური პოზიცირების სისტემაში (GPS), რის მიხედვითაც ველზე ვანხორციელებდი საკვლევ ობიექტებამდე მისვლას. ასევე აღნიშნული გარჩეული მასალის საფუძველზე შევქმენი დღეებზე გაწერილი და კონკრეტულ არეალებზე მორგებული საველე რუკები და საველე ცხრილები, რომლის მიხედვითაც ვახდენდი ველზე ობიექტების აღწერას, იდენტიფიკაციას, მოძიებასა და ფოტოფიქსაციას.



კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის კოორდინირებული სისტემა.
უძრავი ძეგლების/ობიექტების საბაზისო მონაცემები

	სახელწოდება, ბაზის ნომერი	ადგილმდებარეობა	სტატუსი, კატეგორია	პერიოდი	თარიღი	ფოტო
	კომპლექსის სახელწოდება – ობიექტის სახელწოდება, ორივე ველიდან	მუნიციპალიტეტი, დასახლებული პუნქტი, ტერა. შენობის ნომერი, კოორდინატების სიზუსტე კოორდინატები, ობიექტის მდებარეობის აღწერა	ამჟამინდელი სტატუსი, რეესტრის ნომერი, ამჟამინდელი კატეგორია	პერიოდი	თარიღი	მთავარი ფოტო
1	საკვლევ მეფრეტ.24624	თერელი.ალიოლი.ანმორა.X 42.27994 Y 42.75733.მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე მოწმენა ველენის მოპირდაპირე მხარეს.	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	ქვის ხანა _ უძველესი ფეოდალ.ეტ. ნ. მეზანაისწელეული		
2	ორთველა მეფრეტ.24638	თერელი.ალიოლი.ანმაზეოტანე ელა.X31547 2.72590 Y 4683455.91843.მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე, მოწმენი ველენის მოპირდაპირე მხარეს.	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	ქვის ხანა _ უძველესი ფეოდალ.ეტ. ნ. მეზანაისწელეული		
3	ველათა. მონასტერი - ველათის მონასტერი. წმ. გიორგის ველეკი .8379	ტყიბული.ველათა.სმორია.X 42.29461 Y 42.76865.ველათის კომპლექსი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.მნ.ეროვნული	ადრინ შუა საუკუნეები _ მე-16-მე-18 სს.	მე-12 - მე-13 საუკუნეები მე-16 საუკუნე	
4	მეფელ ნასიფარი მდ. წყალწითელაზე .8497	ტყიბული.ველათა.ფასაზოტანტელ ია.X 42.30037 Y 42.75533	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.		
5	ხიდის ბურჯები მეფელ კალაპოტში .8499	ტყიბული.ველათა.ფასაზოტანტელ ია.X 42.29617 Y 42.75128	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.		
6	მეფელ ნასიფარი მდ. წყალწითელაზე.8501	ტყიბული.ველათა.ფასაზოტანტელ ია.X 42.29966 Y 42.75477	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.		
7	ხიდი საკრის ღელეზე.8502	ტყიბული.ველათა.ფასაზოტანტელ ია.X 42.29971 Y 42.75065	ობიექტი სტატუსის გარეშე/ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე	შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.		
8	ველათის მონასტერი - ველათის მონასტერი. ავადგენა - აკადემია.8510	ტყიბული.ველათა.სმორია.X 42.29465 Y 42.76754	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.მნ.ეროვნული	ადრეფეოდალური შუა საუკუნეები _ მე-10-მე-15 სს.	მე-12 საუკუნე	
9	ველათის მონასტერი - ველათის მონასტერი. წმ. ნიკოლოზის ველეკი.ა.8548	ტყიბული.ველათა.სმორია.X 42.29469 Y 42.76780	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.მნ.ეროვნული	ადრეფეოდალური შუა საუკუნეები _ მე-10-მე-15 სს.	მე-12 - მე-13 საუკუნეები	
10	ველათის მონასტერი - ველათის მონასტერი - ველათის მონასტრის კომპლექსი.8550	ტყიბული.ველათა.სმორია.X 42.29456 Y 42.76814	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.მნ.ეროვნული	ადრეფეოდალური შუა საუკუნეები _ მე-10-მე-15 სს.	1106 წელი	
11	ველათის მონასტერი - ველათის მონასტერი. ფეოდალმპყრობლის ტაძარი - ტაძარი ფეოდალმპყრობლისა.8552	ტყიბული.ველათა.სმორია.X 42.29459 Y 42.76815	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.მნ.ეროვნული	ადრეფეოდალური შუა საუკუნეები _ მე-10-მე-15 სს.	მე-12 საუკუნე	

საველე ცხრილი



საველე რუკა

01.11.2023 – 08.11.2023 პერიოდში განვახორციელე საველე სამუშაოები გელათის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ საველე სამუშაოების დროს მოვიარე სამი მუნიციპალიტეტის (წყალტუბო, ტყიბული, თერჯოლა) ექვსი სოფელი (სორმონი, ჭოლევი, კურსები, გელათი, მოწამეთა და გოდოგანი). წინასწარ გამზადებული საველე რუკებისა და ცხრილების საშუალებით ვახდენდი ველზე ობიექტების იდენტიფიკაციას, ფოტოფიქსაციას, GPS (გლობალური პოზიცირების სისტემა) მათი ადგილმდებარეობის ამსახველი კოორდინატების აღებას და ასევე ყოველდღიური საველე გასვლების მარშრუტის ჩაწერას.

რის შემდეგადაც შევადგინე საველე გასვლების ამსახველი ერთიანი რუკა, სადაც ასახულია გავლილი მარშრუტი და აღწერილი ობიექტები.



ველიდან დაბრუნების შემდეგ მოვახდინე მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება. გამოვლინდა რომ 2015 წელს მართვის გეგმის შედგენისას რუკაზე დასმული ობიექტებიდან 26 მათგანი არ იყო მონაცემთა ბაზაში შეტანილი, ხოლო 6 ობიექტი იყო მონაცემთა ბაზაში და არ იყო შესული მართვის გეგმაში. ამავე დროს გამოვლინდა დუბლირებები, კერძოდ მართვის გეგმაში მდინარე წყალწითელაზე ხიდის ბურჯები (#55, #56) და კურსებში დედაღვთისას ეკლესიასთან მარნის ნანგრევები (#49, #53) ორჯერ იყო რუკაზე დატანილი.

ასევე დუბლირება გამოვლინდა მონაცემთა ბაზაშიც. კერძოდ სოფელ კურსებში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ასევე ბაზაში შეყვანილი იყო სოფ. გელათის ნაეკლესიარის სახელითაც. მოხდა დარედაქტირება.

ამავე დროს საველე სამუშაოების შემდეგ დაზუსტდა რომ მართვის გეგმაში 7 ობიექტი არასწორად იყო რუკაზე დასმული, ხოლო მონაცემთა ბაზაში 10 ობიექტის ადგილმდებარეობა დასაზუსტებელი იყო. დაზუსტდა ყველა მათგანი.

მონაცემთა ბაზაში არსებული ობიექტებიდან 15 მათგანზე არ იყო ობიექტის ამსახველი ახალი ფოტო მასალა, ზოგიერთზე არ იყო არქივის ფოტოც.



წმ. საბას ეკლესია დოხორას მთაზე

2015 წლის მართვის გეგმაში არსებული 26 ობიექტიდან, რომლებიც არ იყო ასახული მონაცემთა ბაზაში არ არსებობდა ფოტომასალა და აღწერა, წარმოგიდგენთ მათ მცირე ნაწილს.

საბოლოო ჯამში საველე-კამერალური სამუშაოებისას განხორციელდა შემდეგი:

1. შეიქმნა 87 ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი.
2. ახალი ფოტოების ატვირთვა მოხდა 95 ობიექტზე (10 მათგანი გელათის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი ობიექტი)
3. აღწერილ ობიექტებზე ინფორმაციის განთავსება მოხდა კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში https://memkvidreoba.gov.ge/
4. ყველა მათგანი განთავსდა რუკაზე
5. მონაცემთა ბაზაში წაიშალა დუბლირებები
6. მონაცემთა ბაზაში დაემატა 42 ახალი ობიექტი

ხელმოწერა:

თარიღი: 30.11.2023